# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ივნისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 114 (10 283) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უითბრედი" — სტარტიდან ფინიშამდე

ეს გახლავთ ჯუმბერ ცომაია — „უითბრედის" მონაწილე, „ფაზისის" ეკიპაჟის წევრი საქართველოდან, ერთადერთი სპორტსმენი, რომელსაც სტარტიდან ფინიშამდე არ დაუტოვებია თავისი პოსტი ურთულეს, ხანგრძლივ და მომქანცველ რბოლაში. ამ ასპარეზობაში ჯუმბერმა ჭეშმარიტი გმირობა გამოიჩინა

„ლელოს" კორესპონდენტი ჯუმბერ ცომაიას ფოთში დაბრუნებისთანავე შეხვდა. გუშინწინ კი იგი თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან მიღებაზე. საქართველოს სპორტსახკომმა შუამდგომლობა აღძრა, რათა ჯუმბერს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭოს.

**დასრულდა** „უითბრედი" — დედამიწის გარშემო აფრიანი ნავებით რბოლა, ეკიპაჟებმა ღუზა ჩაუშვეს საუთჰემპტონში.

ამ საოკეანო მარათონში პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა ნავის „ფაზისის" ეკიპაჟმა. ფაზისელთა შორის სამი ისეთი აფროსანია, რომელთაც სტარტიდან ფინიშამდე შეუცვლელად იასპარეზეს — ფოთელი ჯუმბერ ცომაია, ოდესელი სერგეი სტანეცკი, რიგელი ედგარ ტერიოხინი.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში ოკეანის ტალღებს, სიცივესა და და აუტანელ სიცხეს შეჭიდებული ქართველი მეზღვაური ახლა მშობლიურ ქალაქშია და გვესაუბრება:

„უითბრედის" რბოლა, მოგეხსენებათ, ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა. იმაზე, თუ რაოდენ პოპულარულია იგი და წლიდან წლამდე როგორ იზრდება მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი, დღეს ეს ყველამ კარგად იცის. იცით ისიც, რომ საბჭოთა ეკიპაჟი პირველად მონაწილეობდა ამ ფრიად პრესტიჟულ რბოლაში და ნავის აგების პრობლემა — ეს უმთავრესი საკითხი — ჩვენთან, ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში მოგვარდა. ფოთშივე გადაწყდა საბჭოთა ეკიპაჟის „უითბრედში" მონაწილეობის ყველა ორგანიზაციული საკითხიც — ეს საქმე



ჯუმბერ ცომაია

თ. ღვამიჩავას ფოტო.

ითავა ერთობლივმა საწარმო „ფაზისმა". უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნავის პროექტი შეასრულეს ლენინგრადელმა კონსტრუქტორებმა, ტექნოლოგიური სქემები კი დამუშავდა კიევის პატონის სახელობის ინსტიტუტში.

სათანადო შემოწმების შემდეგ თავდაპირველად შეირჩა თექვსმეტი აფროსანი. რბოლის სხვადასხვა ეტაპებზე კაპიტნის ფუნქციები იკისრეს ალექსეი გრიშჩენკომ, ამერიკელმა სკიპ ნოვაკმა და ვალერი ალექსეევმა. ლონდონში ჩაფრენის შემდეგ გავემგზავრეთ საუთჰემპტონში, საიდანაც დაიწყო კიდეც რბოლა მარშრუტით: საუთჰემპტონი — პუენტა-დელ-ესტე — პერტი — ოკლენდი — ისევ პუენტა-დელ-ესტე — ფორტ ლოდერდეილი — საუთჰემპტონი.

რბოლის განმავლობაში ხუთი ქვეყნის ნავსადგურებში ჩავუშვით ღუზა და გადავსერეთ სამი ოკეანე — ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი. ყველაზე გრძელი ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენდა ოცდარვა დღეს, ამდენსავე ხანს ვისვენებდით ხმელეთზე. თუმცა დასვენება პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ხმელეთზე ყოფნას — ეს დრო მთლიანად მოხმარდა ნავის შეკეთებას, შეღებვას, სანაოსნოდ მომზადებას. ჩვენმა ნავმა ოცდახუთი კვანძის სისწრაფით ცურვა შეძლო, რაც საკმაოდ კარგ

იხ. მე-4 გვ.

## მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA 90

# ყველაფერი გაირკვა...

**„ბ" ჯგუფი: კამერუნი — სსრ კავშირი 0:4 (0:2). არგენტინა — რუმინეთი 1:1 (0:0).**

**18 ივნისს** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გაიმართა ორი მატჩი. ბარის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერი და აუტსაიდერი — კამერუნისა და სსრ კავშირის გუნდები, ხოლო ნეაპოლის „სან-პაოლოს" სტადიონზე ითამაშეს არგენტინელმა და რუმინელმა ფეხბურთელებმა.

კამერუნელებს ბოლო ტურისთვის წარმატებით ჰქონდათ გადაჭრილი ყველა უახლოესი ამოცანა, ისინი უკვე მერვედფინალის მონაწილენი იყვნენ, ამიტომაც ამ მატჩს მათთვის თავისებური პრესტიჟული ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ ასევე პრესტიჟისთვის იბრძოდნენ საბჭოთა ფეხბურთელებიც, რომლებსაც ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდათ ჩემპიონატის 24 მონაწილეს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომელმაც ასეთი შემადგენლობით ჩაატარა შეხვედრა: უვაროვი, გორლუკოვიჩი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, დემიანენკო, ზიგმანტოვიჩი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო (იარემჩუკი), შალიმოვი (ზავაროვი), პროტასოვი, დობროვოლსკი, „ღირსების მატჩი" მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაატარა და დიდი ანგარიშითაც დამარცხა (4:0) ლიდერი, ბურთები გაიტანეს პროტასოვმა, ზიგმანტოვიჩმა, ზავაროვმა და დობროვოლსკიმ. შესაძლოა, ანგარიში მეტიც ყოფილიყო, მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მთავარი მიზნის მისაღწევად, მთავარი მიზანი კი მერვედფინალში გასვლის შესაძლებლობის შენარჩუნება იყო.

**„ბ" ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არგენტინა | ● | 0:1 | 2:0 | 1:1 |
| კამერუნი | 1:0 | ● | 0:4 | 2:1 |
| სსრ კავშირი | 0:2 | 4:0 | ● | 0:2 |
| რუმინეთი | 1:1 | 1:2 | 2:0 | ● |

კონკრეტულად ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა არგენტინისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრას, საკმარისი იყო ფრე და საბჭოთა გუნდი ისევ აუტსაიდერის პოზიციაში დარჩებოდა. მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრაში რუმინელებმა შეძლეს იმ ერთი ქულის აღება (1:1), რომელიც მათ სჭირდებოდათ, მერვედფინალში კამერუნელები და რუმინელები გავიდნენ.

ახლა საბჭოთა ნაკრებს ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგება სათავეში, კერძოდ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე კანდიდატთა შორის არიან ანატოლი ბიშოვეცი, იური სიომინი, ევგენი კუჩერევსკი და პავლე სადირინი. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ამ კონკურსს, ალბათ, 15 ივლისისთვის მოაწყობს, შემოდგომით კი დაიწყება 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი.

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და კოლუმბიის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

იხ. მე-4 გვ.



**მილანი.** არგენტინა — რუმინეთი 1:1. არგენტინელებმა ბურთი გაიტანეს რუმინეთის ნაკრების კარში და დიეგო მარადონა ლოცვად დაემხო მწვანე მინდორზე...

ხაკდეხ-საქინფორმის ფოტო.

# ლეილა მესხი — ამჯერად ინგლისში...

**ლონდონი.** დაიწყო უიმბლდონის ტურნირის საკვალიფიკაციო შეჯიბრება, საბჭოთა ჩოგბურთელმა ელენა ბრიუხოვეცმა პირველი შეხვედრა მოუგო ავსტრალიელ მიშელ ბოუერის და გათამაშების მეორე ეტაპზე გავიდა.

**ისტბორნი.** წარმატებით ჩაატარა სასტარტო შეხვედრა ინგლისის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ლეილა მესხმაც, რომელიც სულ მალე უიმბლდონის ტურნირის მონაწილე გახდება. მან შედარებით იოლად აჯობა ამერიკელ დონა ფაბრის — 6:2, 6:2.

გამარჯვება მოიპოვა პირველ შეხვედრაში კიეველმა ნატალია მედვედევამაც. მან დაამარცხა იაპონელი ნანა მიაძი — 6:2, 6:3.

## წოდებათა მინიჭება

**საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა:**

წყალში ხტომაში — იური გუტიაკულოვს (თბილისი, „შევარდენი").

**საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა:**

წყალში ხტომაში — გიორგი ჩოგოვაძეს (თბილისი, „დინამო").

**საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა:**

ფრენბურთში — არტაშეს სტეპანიანს (თბილისი, „შევარდენი").

რადიოსპორტში — გივი შპეტიშვილს, გივი კოკიაურს (ორივე — თბილისი, დოსააფი).

# გუშინ...

ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს პირველობაზე მინიკალათბურთში: „დინამო" — ქუთაისი 44:40; „მართვე" — „ლოკომოტივი" 75:41; რუსთავი — სოხუმი 48:37.

**საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რიგგარეშე ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ!**

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რიგგარეშე ყრილობა გაიხსნება 1990 წლის 22 ივნისს 14 საათზე ჭადრაკის სასახლეში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 37).

დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 12 საათზე.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო

# ვაჟები გამოცოცხლდნენ

**მოჭადრაკე** ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი დასრულდა. დასკვნით XV ტურში კი ასეთი შედეგები აღინიშნა: კეკელიძე — ბალათუროვი 0:1, ჰურლულია — ხაბურზანია 0:1, პოპოვი — კაკაბაძე 1:0, კუჭუხიძე — ტაბატაძე 0:1, გოგიჩაიშვილი — სუპატაშვილი 0,5:0,5, სიჭინავა — იაშვილი 0,5:0,5, ხოფერია — შალამბერიძე 0,5:0,5, დგებუაძე — მანაგაძე 0,5:0,5.

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს: I. ალექსანდრე დგებუაძე — 11 ქულა, II. გია ბალათუროვი — 10, III. გივი გოგიჩაიშვილი (ყველა — თბილისი) — 9, IV-VI. ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), იანის პოპოვი, კახა შალამბერიძე (ორივე — თბილისი) — 8,5-8,5, VII-IX. შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი), მიხეილ კეკელიძე, ზაზა ხოფერია — 8-8, X. აკაკი იაშვილი — 7,5, XI. თამაზ ტაბატაძე (ყველა — თბილისი) —7, XII. ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი) — 6,5, XIII-XIV. რომან სიჭინავა (სენაკი), კახა ხაბურზანია — 5,5-5,5, XV. გიზო ჰურლულია — 5. XVI. რევაზ კაკაბაძე (ყველა — თბილისი) — 3,5.

ამრიგად, როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს 1990 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამშენებლო ფაკულტეტის მეორეკურსელმა, ოსტატობის კანდიდატმა ალექსანდრე დგებუაძემ, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი ამ ტურნირს. მან თავიდანვე ხელში ჩაიგდო ლიდერობა, რომელიც ბოლომდე არ გაუშვია და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

შეჯიბრების დებულების თანახმად I-II ადგილის მფლობელები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში. დგებუაძესთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა გია ბალათუროვმაც. მან ცუდი სტარტის შემდეგ დიდი ალმავლობით ითამაშა და მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა. არანაკლებ კარგად გამოვიდა ამ ტურნირში მესამე ადგილის მფლობელი ოსტატობის კანდიდატი გივი გოგიჩაიშვილი.

სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ტურნირის დებიუტანტებმაც. განსაკუთრებით ქების ღირსია შოთა კუჭუხიძე და მიხეილ კეკელიძე.

სამწუხაროდ, თავიანთ შესაძლებლობაზე ნაკლები შედეგები აჩვენეს ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ, ოსტატობის კანდიდატებმა ხვიჩა სუპატაშვილმა, რომან სიჭინავამ და თბილისის 1990 წლის ჩემპიონმა რევაზ კაკაბაძემ. მათგან უფრო მეტს მოველოდით.

ყურადღება მიიქცია კახა ხაბურზანიამ. მართალია, მან მხოლოდ 5,5 ქულა დააგროვა, მაგრამ კარგი თამაში აჩვენა (დაამარცხა რევაზ კაკაბაძე, იანის პოპოვი, ზაზა ხოფერია, რომან სიჭინავა და გიზო ჰურლულია, ყაიმი — კუჭუხიძესთან).

**ვასილ ვაშაკიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წესდების პროექტს

# ეროვნულ ნიადაგზე და ეროვნული სულისკვეთებით

**საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების „შევარდენის" წესდება ჩვენი მუშაობის კონკრეტული სახელმძღვანელო უნდა გახდეს. იმაზე, თუ როგორ დაიხვეწება „ლელოში" გამოქვეყნებული პროექტი ამ წესდებისა, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი მომავალი საქმიანობა.**

**ჩემის** აზრით, განუზომლად დიდია დამოუკიდებელი, ეროვნული ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი მომავალი თაობების ქართული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამ სულისკვეთებით აღზრდილ თაობებს კი ხელეწიფებათ, დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭონ ერს, მის განმათავისუფლებელ მოძრაობას საერთაშორისო სარბიელზე.

თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა აცხადებს საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლას, უდავოდ მისასალმებელია და ამაზე არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი, რადგან საკავშირო ორგანოებმა 70 წლის მანძილზე თავი ვერ დაადგეს საქმეს — **ჯერაც ვერ დაასრულეს გაუთავებელი რეფორმების გატარება**, ყოველ ახალ შემთხვევაში ზღუდავენ მათ დაქვემდებარებაში შემავალ რესპუბლიკურ განაკვეთებს. ყოველივე ამან მოიტანა ის, რომ საკავშირო წესდების თანახმად, მრავალ რესპუბლიკაში იგნორირებულია სპორტის ეროვნული სახეობების განვითარება. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ „შევარდენის" დღევანდელ ხელმძღვანელობას, რომელმაც, ალბათ, დიდი გარჯის წყალობით მიიღო უფლება ეროვნული სახეობების განვითარებისა და დააკანონა ის საკავშირო წესდებით. ყოველივე ეს, ცხადია, არ გამორიცხავს ცენტრის ტენდენციას, ერთი საკავშირო დროშის ქვეშ დააყენოს რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობა და ეს მაშინ, როდესაც, კონსტიტუციის თანახმად, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, უფლებამოსილია ითანამშრომლოს მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (მუხლი 68 და 76), როგორც მისმა სრულუფლებიანმა წევრმა.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანაში, როდესაც ოჯახის ბიუჯეტში არ არის თავისუფალი თანხა, **ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია ფასიანი მომსახურების ქსელის ესოდენ მკვეთრი გაფართოება.** ამასთან ერთად, ყოვლად დაუშვებლად ვთვლი, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციების საზრუნავი გახდა შემოსავლის იმ წყაროების ძებნა, რომლებიც სამეურნეო ორგანიზაციების შექმნასთან და სხვა კომერციულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს ფიზკულტურის მუშაკს აშორებს მის მთავარ საქმიანობას.

თუ ჩვენ ვბაძავთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მათი მოსახლეობის ეკონომიკური პირობებიც. არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, თუ რა მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული იქ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ამ საქმიანობის ფინანსური წყაროები.

დღეს, როდესაც სრულიად სამართლიანად აღებულია გეზი პროფესიონალიზმისაკენ, მიმაჩნია, რომ ყველამ თავის სფეროში უნდა იმოქმედოს, რათა საერთო ჯამში მივიღოთ სასურველი შედეგი.

ჩვენი მთავარი საზრუნავი კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, ერის გაჯანსაღების საკითხებია. ამ საქმიანობაში თავის წვლილი უნდა შეიტანოს უკლებლივ ყველა სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციამ, მთელმა ერმა, ყველამ უნდა გაიღოს სათანადო მატერიალური სახსრები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემოსავლების ძირითად წყაროს უნდა ჰქმნიდეს როგორც დოტაციები, **მიღებული საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციიდან, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტებიდან, ისე დოტაციები რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შრომითი კოლექტივების ანარიცხები.** მათი წილობრივი მონაწილეობის თანხა უნდა დაკანონდეს და აისახოს წესდებაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში **სპორტის ეროვნული სახეობები და ეროვნული თამაშები სავალალო მდგომარეობაშია** და თუ დღეს ჩვენმა თაობამ არ იფიქრა მათი აღდგენის საკითხზე, მომავალში ამის გაკეთება შეუძლებელი გახდება.

სპორტის ეროვნული სახეობები და თამაშები წარმოადგენენ ერის განძეულობას და ამ ტრადიციების დაკარგვას მომავალი თაობა არ გვაპატიებს. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და **იგი მომავალი თაობების ქართული სულისკვეთებით აღზრდაში არაფრით ჩამოუვარდება ენის საკითხს.** ამ საქმიანობასთან დაკავშირებით, გადაუდებელ ღონისძიებად მიმაჩნია, **ჩამოყალიბდეს ცალკე საზოგადოება, რომელსაც დაევალება აღნიშნული საკითხის მოგვარება.** საერთოდ კი, მე ვფიქრობ, რომ სპორტსაზოგადოება „შევარდენმა" გარკვეული რეორგანიზაცია უნდა განიცადოს.

კერძოდ: მიზანშეწონილად მიმაჩნია პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" ცენტრალური საბჭოს შექმნა შემდეგი ქვედანაყოფებით:

1. სპორტის ეროვნული სახეობების და თამაშების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „მეკვლეს" რესპუბლიკური საბჭო;
2. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „ვაზის" რესპუბლიკური საბჭო;
3. სტუდენტთა, მოსწავლე ახალგაზრდობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, უმაღლესი სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „იმედის" რესპუბლიკური საბჭო;
4. ტრანსპორტის ყველა სახეობებში მომუშავე მუშაკთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „მოგზაურის" რესპუბლიკური საბჭო;
5. საწარმოო, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციების მუშაკთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „სინათლის" რესპუბლიკური საბჭო;
6. გაუქმებულ უნდა იქნას ნფსს „შევარდენის" ავტონომიური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები. მათ ნაცვლად შეიქმნას ზონალური გაერთიანებები. ხოლო რაიონებსა და ქალაქებში — საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საკოორდინაციო ცენტრები;
7. არ დაიშვას ფიზკულტურის კოლექტივების შექმნა იმ ორგანიზაციებში, სადაც მომუშავეთა კონტინგენტი შეადგენს 1000 კაცზე ნაკლებს; ამავე დროს, ფართოდ გაიშალოს მუშაობა გაერთიანებული ფიზკულტურის კოლექტივების შესაქმნელად;
8. საჭიროა ფიზკულტურული კოლექტივებისთვის დაწესდეს საკრედიტო ორგანიზაციებში მიმდინარე ანგარიშის გახსნა, სადაც უნდა ირიცხებოდეს შემდეგი შემოსავლები:
   ა. პროფკომიტეტებში ფიზიკურ კულტურაზე და სპორტზე გამოყოფილი სახსრები;
   ბ. ინდივიდუალური საწევრო ანარიცხები;
   გ. იურიდიული (კოლექტიური) საწევრო ანარიცხები, რომლის 50% ფიზკულტურის კოლექტივის მიერ ჩაირიცხება ზონალურ საბჭოში;
   დ. შრომითი კოლექტივების სოცკულტყოფის 10%;
   ე. შრომითი კოლექტივის შრომის დაცვის განყოფილების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხები;
   ვ. შრომით კოლექტივსა და პროფკომიტეტს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე ფიზკულტურისა და სპორტისთვის გათვალისწინებული თანხები;
   ზ. წესდება უნდა ითვალისწინებდეს, რომ იურიდიულ (კოლექტიურ) პირად ითვლებიან ის შრომითი კოლექტივები, რომელთა ინდივიდუალური წევრები შეადგენენ საერთო კონტიგენტის 3/4 ნაწილს, ხოლო სხვა შემთხვევაში ადმინისტრაციამ უნდა აღძრას შუამდგომლობა საზოგადოების ზონალურ საბჭოში;
9. აუცილებელია, წესდებაში აისახოს იურიდიული შესატანების რაოდენობა. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ყოფილ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში" არსებული გაანგარიშება და გადახდის სისტემა დახვეწილია და შეესაბამება რეალობას. ამასთან ერთად, აღსადგენია ყველა იმ ერთობლივი დადგენილების მოქმედება, რომელიც თავის დროზე მიღებულია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" მიერ რესპუბლიკურ პროფკომიტეტებთან, სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად;
10. გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების გზით დაკანონდეს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ფინანსირება რესპუბლიკური პროფესიული კომიტეტების მიერ;
11. წესდებაში ცალკე პუნქტებად უნდა აისახოს მისი ქვედანაყოფების უფლება-მოვალეობანი. ამ ქვედანაყოფების დებულებები უნდა დაერთოს წესდებას;
12. იმასთან დაკავშირებით, რომ გამაჯანსაღებელ მუშაობას ამოფარებული შემოსავალი იხარჯება დიდი სპორტის განვითარებისთვის, საჭიროდ მიმაჩნია, შეიქმნას გამაჯანსაღებელი მუშაობის ცალკე კლუბი ან სამმართველო საკრედიტო ორგანიზაციაში მიმდინარე ანგარიშით;
13. ყრილობამ უნდა გამოაცხადოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" სრული დამოუკიდებლობა, მისი მრავალრიცხოვანი წევრების სახელით მიიღოს მიმართვა მსოფლიოს ოლიმპიური, უნივერსიადების საორგანიზაციო კომიტეტებისადმი, სხვა გაერთიანებებისადმი, რომელშიც გამოიხატება მისი სრულუფლებიანობა და მათთან თანამშრომლობის სურვილი სუვერენული სახელმწიფო სტატუსით;
14. ყრილობამ უნდა დაავალოს საზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელობას, 2 თვის ვადაში მოაგვაროს გაურკვეველი საკითხები, რადგან წესდება ნათლად ვერ გამოხატავს მისი ფინანსირების მთავარ წყაროს და შედგენილია ზოგადი ფორმულირებებით.

ყოველივე ამის შემდეგ, ყრილობამ დროებით უნდა შეწყვიტოს მუშაობა და განაახლოს ის იმ პერიოდისათვის, როდესაც წესდება— ჩვენი მთავარი კანონი — მზად იქნება სრულყოფილი ფორმის მისაღებად. დღევანდელი ვარიანტით წესდების მიღება დანაშაულად მიმაჩნია.

გადასაწყვეტია მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც — **საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას უნდა ჰყავდეს ერთი მართვის ორგანო**, რისთვისაც სპორტსახკომმა დამატებით უნდა იტვირთოს საზოგადოებების და უწყებების მოვლა-პატრონობა, მათზე უშუალო ხელმძღვანელობა.

**თამაზ ბარამიძე.**

საქართველოს უნივერსიადა ● მძლეოსნობა

## ამანათრბენმა გადაწყვიტა

**იშვიათი** შემთხვევა მოხდა საქართველოს უნივერსიადის პროგრამით გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე: თითქმის მთელი ასპარეზობის მანძილზე გუნდურ პირველობაში ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებები. მხოლოდ ბოლო სახეობამ — ამანათრბენმა შეიტანა სიცხადე ამ დავაში. იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა მოიგეს და მასთან ერთად გაიმარჯვეს საერთოგუნდურ პირველობაში. ისიც უნდა გითხრათ, რომ ბევრი არ ელოდა თუ უნივერსიტეტის კოლექტივი ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევდა ასპარეზობის ფავორიტს, მაგრამ, ეტყობა, უნივერსიტეტელებმა მთელი მობილიზებით იასპარეზეს და, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ შეჯიბრების მიწურულს დათმეს პირველობა. მათ 1143 ქულა მოაგროვეს, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — 1212, ხოლო მესამე ადგილზე გასულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაკრებს 1019 ქულა აღმოაჩნდა. შემდეგ მოდიან: ქუთაისის (VI ადგილი), ცხინვალის (V) პედაგოგიური ინსტიტუტები და თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (VI).

გთავაზობთ რამდენიმე საუკეთესო შედეგსაც:

**ქალები. 100 და 200 მ.** თ. შანიძე (თბილისის სახ. უნივერსიტეტი) — 12,0 და 25,5. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ნიკურაძე — 178 სმ; **ბირთვის კვრა.** ელვირა ურუსოვა (ორივე — ფიზკ. ინსტიტუტი) — 17,03 მ. **ბადროს ტყორცნა.** ლ. გელაშვილი (ზოოვეტ. ინსტიტუტი) — 54,00 მ.

**ვაჟები. 400 მ.** ვ. ბოროსოვი — 49,8, **800 მ.** ო. ხოხლოვი — 1.53,2. **110 მ. თარჯრბენი.** ვ. ვასილიევი (ყველა — ფიზკ. ინსტიტუტი) — 14,1. **სამხტომი.** ვ. მახარაძე (ქუთ. პედ ინსტიტუტი) — 15,77 მ. **ბადრო.** ს. დევიატკინი — 52,60 მ. **სიმაღლეზე ხტომა.** ი. ზაბროსკოვი (ორივე — ფიზკ. ინსტიტუტი) — 205 სმ, **ურო.** ი. შავერდაშვილი — 77,12 მ. (მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა). **ჭოკი.** გ. ჩერტკოშვილი (ორივე — გორის ეკონომიკური ინსტიტუტი) — 480 სმ, **შუბი.** ზ. შეთეკაური (თბილისის ზოოვეტ. ინსტიტუტი) — 68,94 მ.

**მარინე ბიბუაშვილი.**



რესპუბლიკური გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონელი" (დირექტორი მ. ტყეშელაშვილი) თანდათან იხვეჭს ვაჭრობის სფეროში ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ორგანიზაციის სახელს, იხსნება ახალი ობიექტები, იხვეწება ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმები და მომსახურების კულტურა.

სურათზე: რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზია „ლელო" (ყოფილი „დინამო"), რომელიც მომხმარებლისთვის განსაკუთრებით ხელმისაწვდომია, ყოველდღიურად ათასობით მომხმარებელს ემსახურება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## 150 კაცი ანკესით ხელში

**ზაფხულის დადგომასთან ერთად ყოველ შაბათ-კვირას ქუთაისის კულტურულ-სპორტული კომპლექსები ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახთან" ერთად აწყობენ მასობრივ გასვლებს ჯანმრთელობის ბილიკებზე. ქალაქის საწარმოო დაწესებულების, სასწავლებლის, ორგანიზაციის წარმომადგენლებს იწვევენ სპორტულ ბაზებზე, ამ დღეების გეგმა-გრაფიკი კი სისტემატურად იბეჭდება ადგილობრივ გაზეთში.**

**„შევარდენის"** საქალაქო საბჭომ, ამას წინათ, მდინარე გუბისწყლის ხეობაში ჩაატარა საქალაქო პირველობა სპორტულ თევზჭერაში, რომელშიც 25 კოლექტივის 150-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ყველაზე მეტი თევზი აღმოაჩნდათ რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის გუნდის წევრებს, პირველი პრიზი და ბროლის თასიც მათ ერგოთ. გამარჯვებულებს ოდნავ ჩამორჩნენ სპორტული კლუბები „კოლხიდა" და „პოტენციალი", აბრეშუმის კომბინატისა და მინისტარის ქარხნის მეთევზეთა გუნდები.

პირად პირველობაში კი გამარჯვება და თევზაობის „მეფის" წოდება შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ რეზინის ქარხნის გუნდის წევრმა გია მდინარაძემ დაიმსახურა.

დასვენებისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საინტერესო ფორმები უფრო და უფრო მკვიდრდება ადგილობრივ მოსახლეობაში და დღითი დღე იხვეჭს პოპულარობას.

**ჯ. კვიციანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

• • •

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სვანთა კავშირის ქუთაისის „ლემის" ანგარიშზე.

## შეაჩერეთ მშობლები!

**უმცროსი** ასაკის მოსწავლე მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ პირველობას, რომელიც ამავე დროს შესარჩევი ტურნირიც იყო, ჩოხატაური მასპინძლობდა. გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: 1. სოფიკო ტყეშელაშვილი, 2-4. ნათია აფხაიძე, ირინა გიორხელიძე, მილენა ესაიბეკიანი. ჭაბუკები: 1. არტურ ჩიბუხჩიანი, 2-3. ზურაბ ტყებუჩავა, დიმიტრი კრასიკოვი. დებულებით გამარჯვებულთა და პრიზიორთა გარდა, სულ 12-12 მოჭადრაკე გავიდა ფინალში.

აქვე მინდა ერთ პრობლემას შევეხო, რომელმაც უკვე დიდი ხანია სპორტის თითქმის ყველა სახეობაში მოიკიდა ფეხი. კერძოდ, ხშირად გუნდების გამგზავრებისას არ ხდება განათლების განყოფილებების და სპორტული სკოლების მიერ გუნდების შემოწმება. ბევრ გუნდს მწვრთნელებად მხოლოდ მშობლები მიჰყვებიან. ისინი კი ზედმეტ ემოციებს ამჟღავნებენ და ცდილობენ მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში ჩარევას, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამას გარდა, ზოგიერთი გუნდები, რომლებიც კარგავენ ფინალში გასვლის უფლებას, ვადაზე ადრე ტოვებენ შეჯიბრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტ სერიოზულობას და დაფიქრებას მოითხოვს. თითოეული მწვრთნელი ვალდებული ვართ ერთად ვაკეთოთ საერთო საქმე.

**ამირან ბერძენიშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

### XV ტურის მატჩები

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2 (1:1)**

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„ამირანი“: მესხია (მიქაია), ჩხვირკია, ძალამიძე (გოგოხია), შელია, ახვლედიანი, აფენდოპულო, ღურწკაია (ვართანოვი), კაკუბავა, ქობალია, ჭითანავა, გუჩუა.

„კოლხეთი“: ბერაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, ხურცილავა (დოლბაია), ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გვასალია, თევზაძე, პეპინაძე (ბესტაევი).

მსაჯები: ა. კოკაია, ა. წერეთელი, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გოლები: გუჩუა, ქობალია (11-მეტრიანით), თევზაძე, ბაკურაძე (11-მეტრიანით). ბაკურაძემ ვერ გამოიყენა მეორე 11-მეტრიანი.

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:0 (2:0)**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაქაცარია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, სართანია, მალანია (გოგოხია), შეროზია (მ. ჯიქია), ბიგვავა, ტიბუა, აფაქიძე (ა. ჯიქია).

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიაშვილი, სამხარაძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ზეიკიძე, ყიფიანი, მინაშვილი.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), რ. ტალიაშვილი (თბილისი), ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი).

გოლები: მაქაცარია (11-მეტრიანით), ჯავაშვილი, ტიბუა.

გააფრთხილეს გ. ძნელაძე.

* * *

III ტურის შეხვედრაში ლანჩხუთის „გურიასა“ და ოჩამჩირის „ამირანს“ შორის (ეს შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0 დამთავრდა) ლანჩხუთელთაგან ორივე ბურთი ბ. ფრიდონაშვილმა გაიტანა.

## საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

**„იმერეთი“ (ჭიათურა) — „მიმინო“ (თბილისი) 13:32**

ჭიათურა. ნაგუთის სტადიონი. 17 ივნისი

მიმინოელთა წარმატებაში „ლომის წილი“ გაიღო გარე ნახევარმცველმა დემირ ძნელაძემ, რომელმაც ლიდერობაც იტვირთა და ორ-ორი ლელო, საჯარიმო და გარდასახვა გაიტანა. დანარჩენი გოლები გ. სვანიძის (ლელო), გეგეჭკორის (ლელო) და ჯანელიძის (ლელო და გარდასახვა) ანგარიშზე მოდის.

ჭიათურელებმა ორჯერ შეძლეს ლელოს გატანა (ორივეჯერ — წიწილაშვილმა), რომელთაგან ერთი გარდასახა ბ. ბურჯანაძემ. ერთი საჯარიმო გაიტანა შეყლაშვილმა.

**სტუ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 6:9 (6:3)**

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 17 ივნისი

ძველი მეტოქეები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და ამიტომაც შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ძირითად მოთამაშეთა ერთი ნაწილის დისკვალიფიკაციისა და ტრავმების გამო სტუ შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა, რითაც კარგად ისარგებლა „შევარდენმა“, მალე უფრო აქტიურად შეუტია და ნ. იურინმა საჯარიმო გაიტანა.

ტექნიკოსები არ მოდუნებულან და მალე მათი ჯერიც დადგა: გარე ნახევარმცველმა გიორხელიძემ გაიტანა ლელო, რომელიც გარდასახა კობახიძემ.

მეორე ნახევარში საუცხოოდ ითამაშა ნ. იურინმა, მან საკუთარ 22-მეტრიან მოედანზე მიიღო ბურთი და ფინტებისა და ცრუ მოძრაობების სერიით გასცდა მეტოქეებს. ეს გარღვევა დასრულდა ლელოთი, რომელიც გარდასახა ტყეშელაშვილმა, ამის შემდეგ „შევარდენს“ გარკვეული უპირატესობა ჰქონდა.

თამაშის ბოლოს ტექნიკოსები გამოცოცხლდნენ, რამდენიმე შეტევაც წამოიწყეს, მაგრამ უშედეგოდ — გუნდის წევრებმა ერთმანეთში კონტაქტი ვერ დაამყარეს, ინდივიდუალური თამაშის წყალობით კი არაფერი გამოუვიდათ.

**„ზოოვეტი“ (თბილისი) — „გელათი“ (ქუთაისი) 6:34 (0:15)**

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 17 ივნისი

„გელათი“ ჩინებულ სპორტულ ფორმაშია, რასაც მოწმობს მისი წარმატება საკავშირო პირველობასა და საქართველოს ჩემპიონატის ბოლო თამაშებში. მას ამჯერადაც სრული უპირატესობა ჰქონდა, მატჩი ალმაცლობით ჩაატარა და მორიგი გამარჯვებაც იზეიმა.

თავდაპირველად ფიოლიამ იმარჯვა, შემდეგ ბზიკაძემ დაასრულა უკანა ხაზის მიერ გათამაშებული მარაო, ორივე ლელო გარდასახა ჭმოთიამ, მანვე გაიტანა საჯარიმოც და საგრძნობლად დააწინაურა თავისი გუნდი.

მეორე ტაიმში „ზოოვეტი“ გააქტიურდა. ისევ და ისევ ვ. ბახტაძემ ითავა ლიდერობა. მან ჯერ ინდივიდუალური გარღვევა ლელოთი დაასრულა, შემდეგ ზუსტად შეასრულა გარდასახვაც.

ეს იყო და ეს — მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. „გელათი“ კი უფრო ძლიერად ათამაშდა და დარჩენილ დროში ბევრი ლამაზი კომბინაცია გაითამაშა, რომელთაგან სამი ლელოთი დასრულდა. სამივე შემთხვევაში შეტევები წამოიწყო გარე ნახევარმცველმა თედოშვილმა, რომლის ტაქტიკურად მართებულმა თამაშმა კარგი შედეგი გამოიღო: ბზიკაძემ მეტოქეებთან ჭიდილში გაიტანა ლელო, მურჩაძემ მოლიდან შეუტია, ზუსტი მოქმედებით კი ლი გიორგობიანი დროზე ჩაერთო სამმეოთხედელთა „მარათონში“. თედოშვილმა ერთი საჯარიმოც გაიტანა, ხოლო ორი ლელო გარდასახა აშოთიამ.

**მერაბ რატიშვილი.**

**„უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „სათაფლია“ (წყალტუბო) 4:18 (0:10)**

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 16 ივნისი

აუტსაიდერებს შელახული ღირსების აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ, ასე რომ, თავიდანვე ცხადი იყო, ორთაბრძოლა უმღავათოდ წარიმართებოდა.

შეხვედრა სტუმართა შეტევებით დაიწყო და მალე ტყეშელაშვილმა ლელო გაიტანა, ორიოდე წუთის შემდეგ კი ნაცვლიშვილმა გამოიყენა საჯარიმო.

ასეთმა დასაწყისმა უნივერსიტეტელები დააბნია. პირველ ტაიმში ისინი საკმაოდ არაორგანიზებულად მოქმედებდნენ. მასპინძლებს შერკინებაში წამყვანი მოთამაშეები აკლდათ, თამაშის სიმძიმე ახალგაზრდებს დააწვათ, რის გამოც წყალტუბოელებს ამ რგოლში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. ტაიმის ბოლოს მცველმა კირიაკიდიმ საჯარიმოს გატანით 10:0-მდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ტაიმში „უნივერსიტეტი“ „გონს მოეგო“ და მთელი ძალით ამოქმედდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ჩაჩუამ ეფექტური ლელო გაიტანა. ამის შემდეგ მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შესძლეს. თამაშის მიწურულს ტყეშელაშვილმა საჯარიმოს გატანით განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება.

**ერეკლე კიკილაშვილი.**

## I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XVI ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „სიხარული-90“ (გაგრა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:1, „ხულორი“ (ვანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „იმერეთი“ (ხონი) 2:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:1, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 0:2.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარგვეთი“ ზესტაფონი) | 14 | 12 | 0 | 2 | 35-15 | 36 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 14 | 10 | 2 | 2 | 26-12 | 32 |
| „ხულორი“ (ვანი) | 14 | 9 | 2 | 3 | 19-13 | 29 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 14 | 8 | 4 | 2 | 30-11 | 28 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 14 | 8 | 3 | 3 | 24-15 | 27 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 14 | 6 | 5 | 3 | 19-13 | 23 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 14 | 6 | 1 | 7 | 16-20 | 19 |
| „კახეთი“ (თელავი) | 12 | 5 | 3 | 4 | 16-14 | 18 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 13 | 5 | 2 | 6 | 20-19 | 17 |
| ფიზკ. ინსტ. | 14 | 5 | 2 | 7 | 14-21 | 17 |
| სტუ | 14 | 5 | 1 | 8 | 23-29 | 16 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 13 | 5 | 0 | 8 | 20-18 | 15 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 13 | 5 | 0 | 8 | 15-25 | 15 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 14 | 4 | 3 | 7 | 14-17 | 15 |
| „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 14 | 3 | 6 | 5 | 15-17 | 15 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 13 | 4 | 2 | 7 | 15-24 | 14 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 14 | 4 | 2 | 8 | 14-24 | 14 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 14 | 3 | 5 | 6 | 16-20 | 14 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 14 | 3 | 4 | 7 | 17-29 | 13 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 14 | 2 | 3 | 9 | 9-19 | 9 |

## სამარცხვინო ინციდენტი

**რესპუბლიკის** საფეხბურთო ჩემპიონატის (I ჯგუფი) მორიგ, XVI ტურში, ჩხოროწყუს „სამეგრელო“ გორის რაიონის „ქართლს“ მასპინძლობდა. ორივე გუნდი გათამაშების ცხრილში გვერდიგვერდ იმყოფება და ცდას არ აკლებს, რათა გაიუმჯობესონ სატურნირო მდგომარეობა, მატჩიც საინტერესოდ წარიმართა.

პირველი ბურთი მე-10 წუთზე ქოქაშვილმა გაიტანა, ამის შემდეგ „სამეგრელოს“ ვეტერანმა ციმაკურიძემ 25-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში — 1:1. მეორე ნახევარი მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და ახალაიამ 50-ე და 75-ე წუთებზე ორი ბურთი გაიტანა სტუმართა კარში — 3:1. თამაშის დასასრულს გელაშვილმა შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება — 3:2 გაიმარჯვა „სამეგრელომ“.

მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმართა თავდამსხმელი ხელით შეაჩერა ვეკუამ და სამართლიანად დაიმსახურა ყვითელი ბარათი. სხვა ინციდენტი თამაშის დროს არ მომხდარა, შეხვედრის დამთავრების შემდეგ გუნდები ტრადიციულად მიესალმნენ ერთმანეთს და დატოვეს მინდორი, გასახდელში კი გორელთა სათადარიგო მეკარემ რ. ხიდაშელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ოზურგეთელ მსაჯს ზ. ჯინჭარაძეს, მას თავისი გუნდის წევრებიც აჰყვნენ და მათაც არ დაიშურეს სალანძღავი სიტყვები მსაჯის მიმართ. არ გვაეჭვებს, რომ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია უყურადღებოდ არ დატოვებს ამ აღმაშფოთებელ ფაქტს.

თამაშის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ მატჩის კომისარს, ქუთაისელ ზ. თოდაძეს. — მსაჯის მიმართ საპრეტენზიო არაფერი მაქვს, — თქვა მან. — შეცდომები ამ შეხვედრაში იყო, მაგრამ გამიზნული ხასიათისა არ ყოფილა. ჯინჭარაძემ კარგად გაართვა თავი რთულ შეხვედრას, მიუხედავად იმისა, რომ თამაშზე არ ჩამოვიდა გვერდითი მსაჯი, ოზურგეთელი ა. კიკაბიძე.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

### ვაზუსტებთ...

სოხუმიდან ტელეფონით მიღებულ ინფორმაციაში, პირველი ლიგის მატჩის საანგარიშო წერილში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „ლელოში“, ცუდი სმენადობის გამო დაშვებულია უზუსტობა. ტექსტი უნდა იწყებოდეს ასე: „სტადიონზე საკმაოდ მცირე მაყურებელი მოვიდა...“

## ვინ როგორ გულშემატკივრობს ქართულ სპორტს? — ნიღაბი!

**წერილს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, აუცილებლად ესაჭიროება ეს პატარა შესავალი. ჩვენს პოზიციას ვაქვეყნებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს არ მოსწონს ქართულ სპორტში მიმდინარე ცვლილებები. მათგან რედაქცია ხშირად იღებს ბოღმით ალსავსე წერილებს. ეს ბარათიც ახეთი „ერისკაცების“ საერთო აზრს გამოხატავს. თუმცა, ავტორი იმდენად ლაჩარია, ვინაობას არ ამხელს. ჩვენ კი მაინც ვაქვეყნებთ მის ნააზრევს. თავიდან ეს წერილი არაფრად ჩავაგდეთ. ახლა კი გადავწყვიტეთ დავბეჭდოთ იმის გამო, რომ ცინიზმს ბოლო არ უჩანს, ძალიან მომრავლდნენ „ფეხბურთელაშვილები“. რუსთაველი „ფეხბურთელაშვილი“, „ჭეშმარიტი პატრიოტი“ კი ჩვენი გაზეთის ფორმატსაც დასცინის. რას იზამ „ლელო“ შეიძლება მართლაც ნამცეცად გამოიყურება, თუნდაც ბევრ არაქართულ გაზეთებთან შედარებით, მაგრამ... თუმცა ის ჩვენი ოპონენტი ყველაზე მეტად. გაზეთის პოზიციის აღუშფოთებია, რა არ მოსწონს? თავად განსაჯეთ.**

## „ლელოს“ რედაქციას

**წავიკითხე** ამ თქვენი ქაღალდის ნაგლეჯზე დაბლაჯნილი სისულელე — იმის თაობაზე, რომ თბილისის „დინამოს“ სახელი ეცვლება. უმალ, როგორც კი ეს წავიკითხე ვიღრიალე: სადა ხართ ბერიას ჩეკისტებო, რომ თქვენს სათაყვანებელ გუნდს, სადაც ათეული წელი გაატარეთ და მრავალჯერ ასახელეთ როგორც დიდი ქვეყანა საბჭოთა კავშირი, ისე ფეხბურთის მოყვარული და კლასიკურ ფეხბურთელთა აღმზრდელი საქართველო — სამშობლო!

ჰაი დედასა!... სადამდის მივედით... როგორ ინგრევა დიდი ბელადის სტალინის მოპოვებული ქვეყანა. ვაჟკაცობისა და მეგობრობის, შრომისა და სპორტის, ხალხთა ძმური სიყვარულობის ქვეყანა და დახე დღეს რა ხდება?!

მე ჯერ, პირველად 15 წლისა, 1939 წელს დავესწარი თბილისის „დინამოს“ თამაშს, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, რომელიც, თბილისის „დინამომ“ მოიგო, თუ არ მღალატობს მეხსიერება „ბასკებთან“. იქ პირველად ვიხილე 20 წლის შეუკავებელი ფორვარდი, გუნდის სული და გული ბორის პაიჭაძე, რომლის თამაშით და საერთოდ მთელი თბილისის „დინამოს“ გრანდიოზული თამაშით მოხიბლული ვიყავით, ჩვენ და საზღვარგარეთელი ხალხიც. ამიტომ იყო, რომ მაშინ ეწოდა თბილისის „დინამოს“ „დიდი ურუგვაელები...“

დღეს კი რას სჩადიხართ თქვენ ულმერთოებო, თქვენა?! ალბათ ისტორია არ გაპატიებთ ესეთ „ბარბაროსობას“, რასაც თქვენ ჩადიხართ!.. სხვა რაღა გითხრათ გადაგვარებულებს, მე-20 საუკუნის ბარბაროსებს?!...

**გწერთ 1939 წლიდან თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი ქართლოს ფეხბურთაშვილი.**
**ქ. რუსთავი.**

ავტორის სტილი დაცულია.

## იყავ მზად!

### (პასუხი ქართული ფეხბურთის „გულშემატკივარს“)

**სიმართლე** გითხრათ, არ მეგონა, რომ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე კიდევ მომიწევდა გაზეთში პუბლიკაციის მოთავსება. მიზანი ხომ მიღწეულია: პირველობა ტარდება, მორჩა და გათავდა! დანარჩენი არასაინტერესოა.

მაგრამ, თქვენმა წერილმა იმდენად „ამაღელვა“, იმდენად მკვეთრად დამანახა მისი ავტორის ვინაობა, რომ გადავწყვიტე გამოგეპასუხოთ.

„წავიკითხე თქვენი სისულელე და ვიღრიალე: „სადა ხართ ბერიას ჩეკისტებოო!“

გწერთ (ღრიალებთ) აღელვებული. ფსევდონიმს ამოფარებული ხნიერი კაცი, უნდა ვივარაუდოთ ტომით ქართველი. ჩემი პასუხი არასაფეხბურთო ისტორიით მინდა დავიწყო. ამხანაგო ქართლოს! უნდა გახაროთ და თქვენი ბასკების სტუმრობის დროინდელი ყრმობა გაგახსენოთ: ამას წინათ, მაკულატურის მიმღებ პუნქტში ყდამოგლეჯილ წიგნს წავაწყდი (ამიტომ ავტორის ვინაობას ვერ მოგახსენებთ), დრო მქონდა და გადავიკითხე. ერთმა ლექსმა აღმაფრთოვანა განსაკუთრებით და, იმედია, თქვენც იგივეს განიცდით, როდესაც ქვემოთ მოყვანილ ციტატას წაიკითხავთ. ლექსს „მზად ვართ!“ ეწოდება. ხომ მოემზადეთ ამხ. ქართლოს? მაშ დავიწყოთ ციტირება:

„როცა ბერიას მოედანს და უბნებს
კარით-კარამდის
მოაწყდება და იგრგვინებს დიდი
ოქტომბრის პარადი,
ცისკრის შუქივით გავჩნდებით,
მოედნის გულში დავდგებით
მალხაზ-მალხაზი ბიჭების და
გოგონების რაზმები:“

ხომ აგიტოკდათ გული, ამხანაგო ქართლოს?! ბოდიშს მოვიხდი, რომ ჩვენს დროში ქაღალდის დეფიციტის გამო, მთლიანად ვერ გაგაცნობთ იაგოდა-ეჟოვ-ბერიას ეპოქის ეს შედევრი (იმედი მაქვს თქვენს კოლეგებს არ გაუჭირდებათ ამ წიგნის დედანისა ან ავტორის მიგნება), მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და მის ფინალურ ნაწილს გაგაცნობთ:

„მზადა ვართ, მამავ, მზადა ვართ!
შენზე ვლოცულობთ, სადაც ვართ!
იყავ მზად! — გვესმის გუგუნი —
მზადა ვართ! მამავ, მზადა ვართ!!“

თქვენც ხომ მზადა ხართ, ისტორიის ჩარხის უკან შემოსაბრუნებლად, ამხანაგო ქართლოს?

თქვენს თანამოაზრეებსაც უხმობთ — ესეც ბუნებრივია — კოლექტიური აქციები უფრო დიდი ეფექტის მომტანია. მაგალითად, 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტაში შინაგანი და არაშინაგანი ჯარების დიდი მასები მონაწილეობდნენ და მათ ოპერაცია სწორედ ყოფილი ბერიას მოედნის „გულში დადგომით“ დაიწყეს.

მართალია თქვენი მრწამსის პიროვნებების უმეტესობა ზემოდხსენებული პერსონაჟის გზას გაუყვა, მაგრამ ძველი გვარდიის თითო-ოროლა წარმომადგენელიც გამოჩნდება უდავოდ და ეჭვიც არ მეპარება, მზად იქნება ყოველივეს, თქვენის აზრით ცუდს (და ეროვნულ ჩემპიონატს პირველ რიგში) მედგრად შეებრძოლოს.

ისე კი, ამ ოხერ ასაკს თავისი გააქვს მაინც! (მაგალითად თქვენ გიწერიათ ბასკები 1939 წელს ჩამოვიდნენო), 37-ში, ძია ქართლოს, 37-ში! არ გეკადრებათ ამ თარიღის დავიწყება. ბერიასა და მისი უწყების მოტრფიალეებს პროფესიონალიზმი სიბერემდე უნდა გაჰყვეს, მაღალი რანგის მოხელე იქნება იგი თუ რიგითი დამსმენი, თორემ, ხომ შეიძლება ისევ თქვენი დრო დადგეს და ზემოდციტირებული მაკულატურის პოეტის მოწოდებას სრულ მზადყოფნაში ვერ შეხვდეთ! აბა წარმოიდგინეთ: ისევ „დინამოელები“ და „ლოკომოტივები“, ცაპოვეცკები და ლატიშევები, ისევ ბერიას სახ. სტადიონი და მისი იდეებით აღზრდილი ახალგაზრდობა, რომელიც ბურთსა და თანამემამულეებს ეძგერება...

გისურვებთ მხნეობას ამხ. ქართლოს! ჯანი ძალიან დაგჭირდებათ მომავალში, თორემ სუსტი კაცი ვერც „საქართველო, საქართველოს!“ მრავალათასიან შეძახილს გაუძლებს და ვერც „დიდების“ ჰანგების მოსმენას. მზადყოფნა №1-ში იყავით ბერიას ნაშიერებო, ვინ იცის: „გამოშუქდება დროშებში დიდი ბელადის ხატება:

— იყავ მზად, ჩემო შვილებო! — იტყვის და თვალწინ დადგება!“

ფორმა არ დაკარგოთ ამხ. ქართლოს!

**ალექსანდრე ელენტი,**
კინორეჟისორი.

# „უითბრედი“—სტარტიდან ფინიშამდე

(დასასრული)

მაჩვენებლად ითვლება, საერთოდ კი, ამ კლასის ნავების მაქსიმალურ სიჩქარედ ოცდაჩვიდმეტი კვანძი ითვლება. „ფაზისი“ განსაკუთრებით სწრაფად მიდიოდა ზურგქარში — ასეთ ამინდში ექვს დაწინაურებულ ნავს შორისაც ვიმყოფებოდით.

განსაკუთრებით გაგვიჭირდა პირველ და მეორე ეტაპზე — სიცხე, ზღვის ღელვა, ტალღების სიმაღლე 12 მეტრს აღწევდა. პუენტა-დელ-ესტესა და ავსტრალიას შორის 22 დღის განმავლობაში მზე არ გვინახავს, ღელვის დროს ბაგირით ვიყავით დაბმულნი, წყალში რომ არ აღმოვჩენილიყავით. ნავზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: რუსი, უკრაინელი, ლატვიელი, ამერიკელი, ინგლისელი, ახალზელანდიელი, ფრანგი, ქართველი. საურთიერთოდ ინგლისური ვარჩიეთ, ვერთობოდით მუსიკით. რომელ ნავსადგურშიც უნდა შევსულიყავით, ყველგან დიდი ზეიმით გვხვდებოდნენ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო შეხვედრა ახალ ზელანდიაში. ასეთი რამ არსად მინახავს: სტარტზე ექვსი ათასი ნავი გვაცილებდა, ხოლო ნაპირზე 200.000 ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

სულ 33 ათასი მილი დავფარეთ. როგორც იცით, აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ახალზელანდიური „სტეინლაგერი“, მეორე ნავიც ამ ქვეყნისა იყო — „ფიშერ ენდ პაიკელი“, ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა შვეიცარიელთა „მერიტმა“. „ფაზისი“ საბოლოოდ მეთერთმეტე აღმოჩნდა.



სამეფო ფლოტის ადმირალმა ჩარლზ უილიამსმა აღნიშნა: „არც ერთ დებიუტანტს არ უჩვენებია ასეთი შედეგი, ეს დიდი მიღწევაა“:

ფინიშის ხაზი რომ გადავკვეთეთ, შამპანური გავხსენი, ამ დროს ჩემი გვარი დაიძახეს. შამპანურით ხელში იქით გავეშურე. ჩარლზ უილიამსმა გადმომცა მედალი „სტარტიდან — ფინიშამდე“.

● **თქვენი აზრით, მაინც რა მოგვიტანა დედამიწის გარშემო ამ რბოლამ?**

— ისეთი რეკლამა გაგვიკეთა, თუ მოცემულ შეკვეთებს შევასრულებთ, ნამდვილად კარგი სავალუტო შემოსავალი გვექნება.

● **გვაქვს თუ არა საიმისო მატერიალური ბაზა, აფროსნობა მყარად რომ დავაყენოთ ფეხზე?**

— ყველა ქართველმა ბავშვმა უნდა ისწავლოს ცურვა და აფროსნობის ანბანი... უნდა ... ქვეყანას მით უმეტეს, რომ საამისოდ იდეალური ბუნებრივი პირობები გვაქვს. სამწუხაროდ, მარტო ეს არ კმარა, — ნავების შეძენა ძნელია და დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული

● **ორიოდე სიტყვა თქვენს შესახებ.**

— დავიბადე ფოთში, დავამთავრე მე-5 სკოლა. აფროსნობას ბავშვობიდანვე მივდევ. „ფინის“ კლასში ვიყავი საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ვმონაწილეობდი საერთაშორისო შეჯიბრებებში.

● **თქვენი მომავალი გეგმები?**

— ამჟამად „ფაზისი“ ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც სამი თვით მეც ვარ მიწვეული. მონაწილეობას მივიღებ ბოსტონში, ნიუ-იორკსა და ფლორიდაში გამართულ შეჯიბრებებში, შემდეგ დავბრუნდები მშობლიურ ქალაქში და კვლავ სათავეში ჩავუდგები ჩვენს საიალქნო კლუბს. თუ ნავსადგურის ხელმძღვანელები დანაპირებს შეასრულებენ, რაც დაკავშირებულია ფულად სახსრებთან, მაშინ ჩვენი კლუბი შეიძლება ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს კავშირში.

გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის, გისურვებთ წარმატებებს.

**ტრისტან მანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

ფოთი.

## მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

# რეალობა და პერსპექტივები

**მსოფლიოს** XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების პირველ ეტაპზე ყველაზე ადრე დამთავრდა შეჯიბრება II ჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ არგენტინის, კამერუნის, სსრ კავშირისა, და რუმინეთის გუნდები. ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ საბოლოო მდგომარეობა აქ ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-5 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 2 |

საოცარი ცხრილია. ჯგუფის გამარჯვებულმა კამერუნის გუნდმა ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, შესაბამისად პირველი ადგილიც დაიკავა, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა მას უარყოფითი აქვს. ასეთი რამ ფეხბურთში ხდება, მაგრამ ძალიან იშვიათად. უარყოფითი სხვაობა ჯგუფში არც ერთ სხვა გუნდს არა აქვს, თვით ბოლო ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებსაც ეს მაჩვენებელი —4 (გატანილი და 4 მიღებული ბურთი) თანაბარი აქვს.

გათამაშების შემდგომ ეტაპზე, მერვედფინალში, გავიდნენ კამერუნისა და რუმინეთის გუნდები. საამისო შესაძლებლობა აქვთ მსოფლიო ჩემპიონებს არგენტინელებსაც, მაგრამ ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილი ყველაფერს როდი წყვეტს, მსოფლიო ჩემპიონთა ბედი გაირკვევა მხოლოდ მაშინ, როცა შეჯიბრება დამთავრდება ყველა სხვა პარალელურ ჯგუფშიც, იმისდა მიხედვით, თუ რა მაჩვენებლები ექნებათ სხვა ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ არგენტინელებს სხვებზე უარესი მაჩვენებლები აღმოაჩნდეს და მაშინ დიეგო მარადონას გუნდს ჩემპიონატის დატოვება მოუწევს.

ახლა იმის თაობაზე, თუ როგორი წესით ხდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მეორე ეტაპზე გასვლა. საამისო უფლებას მიიღებს 16 გუნდი: ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი შეუფერხებლად გადიან მერვედფინალში, მაგრამ საჭიროა კიდევ 4 გუნდი, რათა მერვედფინალის ლიმიტი შეივსოს, საამისო პრეტენზია კი 6 გუნდს ექნება.

მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტის მე-5 განაყოფის 25-ე სტატიის მე-17 თავი ამას ასე განმარტავს: ჯგუფებში გამარჯვებულების გარკვევა ასე ხდება — ა). დაგროვილი ქულები; ბ). გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა; გ). გატანილი ბურთების რაოდენობა; დ). პირად შეხვედრებში ნაჩვენები შედეგები; ე). და, ბოლოს, თუ ყველა ეს მაჩვენებელი თანაბარი იქნა, გუნდებს ადგილები მიეკუთვნებათ წილისყრის მიხედვით.

მაგალითად, მე-6 ჯგუფის ყველა მონაწილეს ბოლო ტურის წინ აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებელი აქვს. დარჩენილი ორი შეხვედრა მეტოქეებმა ერთნაირი ანგარიშით, ფრედ რომ დაამთავრონ, ვთქვათ, 0:0, 1:1 და ა. შ. საჭირო შეიქნება ოთხივე გუნდს შორის წილისყრა.

ასე, რომ ბოლო ტურის შეხვედრების წინ ცნობილი არცაა გავიდნენ თუ არა არგენტინელები მერვედფინალში.

## იტალიური კალეიდოსკოპი

**ქალაქ** კალიარის პოლიციამ რის ვაივაგლახით შესძლო იაპონელი ჟურნალისტების ინგლისელი „გულშემატკივრებისგან“ უვნებელყოფა. საქმე ისაა, რომ იაპონელებმა გადაწყვიტეს ინგლისელი ფანების ვიდეოკამერაზე აღბეჭდვა, ეს კი მათ, ეტყობა, არ ეჭაშნიკებათ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჟურნალისტები საავადმყოფოში აღმოჩნდნენ, ვიდეოკამერა კი უმოწყალოდ დაამტვრიეს.

**ტურინის** მაცხოვრებლებმა კატეგორიულად მოითხოვეს ხელისუფლებისაგან ქალაქის ცენტრიდან სატვირთო ავტომანქანის გაყვანა, რომელზეც, 10 ათასვატიანი გამაძლიერებელი იდგა და საიდანაც 24 საათის განმავლობაში ლამბადას ჰანგებს ყურთასმენა მიჰქონდა. სატვირთო მანქანას, რა თქმა უნდა, უკან გაყვნენ ბრაზილიელი გულშემატკივრები. საკუთარი სტუმართმოყვარეობით დაღლილმა ტურინელებმა ფეხბურთისა და ლამბადის მოყვარულებს მხოლოდ მათი საყვარელი გუნდის უკანასკნელ მატჩზე დაბრუნების უფლება დაუტოვეს.

**ჩესრიგის** დამცველთა გაძლიერებული ყურადღებითა და გაუთავებელი შემოწმებებით უკიდურესად აღშფოთებული არიან სარდინიელი მეძავები. ადგილობრივი გაზეთის „უნიონ სარდას“ ფურცლებზე ერთ-ერთმა მათგანმა, სანდრა ბ-მ განაცხადა: „ძალზე ხშირია შემოწმებები. კლიენტებს ეშინიათ გამოაშკარავების და ამიტომ ჩვენ თითქმის უმუშევრად დავრჩით.“

**ნეაპოლში** დაირხა ხმა, რომ იმ მიზნით, რათა დროულად ჩაებარებინათ სტადიონი, მშენებლებმა დააგეს ყალბი დრენაჟი. ქალაქის საბჭო და პოლიცია იძიებს ამ საქმეს. თუ ეს ხმა გამართლდა, პირველივე წვიმის შემდეგ სტადიონის მისადგომები წყალში აღმოჩნდება.

**მსოფლიო** ჩემპიონატის დაწყების შემდეგ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის იტალიიდან გააძევეს 50 დასავლეთგერმანელი გულშემატკივარი. მილანის სასამართლომ ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა ხუთ იქაურ ხულიგანს, კიდევ ექვსი გაასამართლა ვერონის სასამართლომ. განაჩენი — 10 თვე პატიმრობა. თუმცა, სასჯელის მოხდის სანაცვლოდ, მათ შესთავაზეს ქვეყნის ფარგლების დატოვება.

**ინგლისელ** ფეხბურთის გულშემატკივართა ერთ ნაწილს არ გაუმართლა. მათ ისარგებლეს ახლადგახსნილი ტურისტული ბიუროს მომსახურებით და თვლიდნენ, რომ ძალზე იაფად, 100 დოლარად, შეიძინეს ინგლის-ჰოლანდიის მატჩზე დასასწრები საგზურები, სამწუხაროდ, ბიუროს დირექტორი და ხაზინადარი უკვალოდ გაქრნენ, მათი კლიენტები კი იძულებული გახდნენ საკუთარ ტელევიზორებს მიჯდომოდნენ.

**მსოფლიო** ჩემპიონატის მასპინძლები უკვე ითვლიან მოგებას. პირველმა წრემ მათ 26 მილიონი დოლარი შემატა. ასეთი თანხა შეადგინა 12 მატჩზე 560 ათასი ბილეთის გაყიდვიდან ამოღებულმა თანხამ.

## ტალანტებზე მონადირენი

**უცხოეთის** საფეხბურთო კლუბების სელექციონერები მსოფლიო ჩემპიონატზე საგულდაგულოდ თვალს ადევნებენ პერსპექტიულ ფეხბურთელებს, ცდილობენ არ გამორჩეთ რომელიმე მათგანი, რომელიც, შესაძლოა, დღეს თუ არა ხვალ გადაიბიროს კონკურენტმა. კლუბების წარმომადგენლები საგანგებოდ უთვალთვალებენ კამერუნის, ეგვიპტის, ურუგვაის, კოლუმბიისა და სხვა გუნდებს, მაგრამ საგანგებო ყურადღებით, მაინც, ახლა რუმინელები სარგებლობენ.

როგორც რუმინეთის ნაკრების წარმომადგენელმა ო. ოვიდიუმ განაცხადა, მის ფეხბურთელებს ხელსაყრელ კონტრაქტებს სთავაზობენ ევროპის ოცზე მეტი კლუბის წარმომადგენლები. — ჩვენი ტელეფონი განუწყვეტლად რეკავს, გაუთავებლად მოდის წერილები, სადაც სელექციონერებს სურთ მოლაპარაკება ფეხბურთელებთან და მომგებიანი კონტრაქტების გაფორმება. — თქვა მან.

უკვე ცნობილი გახდა, რომ რუმინეთის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე გეორგ ჰაჯი მადრიდის ცნობილ „რეალთან“ გააფორმებს ხელშეკრულებას. დასავლეთ გერმანიის კლუბი „კიოლნი“ და იტალიის „ლეჩე“ ცდილობენ მცველ გეორგ პოპესკუს გადაბირებას, იტალიის „ფიორენტინას“ სურს ხელთ ჩაიგდოს მარიუს ლეკატუში, ფლორინ რადუჩოიუს კი ერთბაშად სამი კლუბიდან აქვს მიწვევა.

ამასთან დაკავშირებით რუმინელმა ფორვარდმა მარიუს ლეკატუშმა განაცხადა, რომ ეს აჟიოტაჟი არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ფეხბურთელებზე, ისინი ჯერჯერობით მხოლოდ რუმინეთის ნაკრების პრობლემებით არიან დაკავებული, ხოლო რაც შეეხება კონტრაქტებს, ეს უკვე მერმისის საქმეა და ამან ფეხბურთელს ხელი არ უნდა შეუშალოს თამაშში.

### ბიორდის აზრით

**ალბათ,** საინტერესოა სახელგანთქმული ლარი ბიორდის აზრი თავის უშუალო კონკურენტებზე და ნბა-ს ვარსკვლავებზე — „მაჯიკ“ ჯონსონზე და მაიკლ ჯორდანზე. „ჩემი აზრით, მაიკლი საუკეთესო კალათბურთელია, მაგრამ მაჯიკი“ ნამდვილი ვარსკვლავია“.

### „სპორტპროგნოზი“

**24-ე ტირაჟის შედეგები (15-17 ივნისი)**

1—2, 2—2, 3—X, 4—1, 5—2, 6—X, 7—2, 8—X 9—1, 10—X, 11—1, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

### მძლეოსნები იკრიბებიან

**23 ივნისს** თბილისში, ეროვნული სტადიონის ოსტატ ფეხბურთელთა კლუბში ჩატარდება მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო და სპორტსაზოგადოება „მართვეს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტსაზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი

**გელა ვარდოს ძე ელოშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები: ლ. სარალიძე, ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779